

## დოლოჭოპის ბაზილიკაზე 2012 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის ანგარიში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჯგუფმა, არქეოლოგიის მიმართულების პროფესორების, სტუდენტების და მოწვეული სპეციალისტის შემადგენლობით,<sup>1</sup> 2012 წლის ივლის-სექტემბერში განახორციელა საქართველოში, ყვარლის რაიონში შემორჩენილი, ამჟამად „დოლოჭოპის ეკლესიის“ სახელწოდებით ცნობილი ქრისტიანული ბაზილიკის ნაშთების არქეოლოგიური კვლევა (ძველი ზოგიერთ დოკუმენტში, ჩვენ მიერ შერქმეული სახელით – „დურუჯისპირა ბაზილიკადაც“ მოიხსენიება).

ქართული კულტურული მემკვიდრეობის ეს უაღრესად საინტერესო ძეგლი მდებარეობს ქ. ყვარლის მიდამოებში, მდ. დურუჯის მარჯვენა ნაპირზე მდებარე, გვიანანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების ეპოქის ნასახლარის ტერიტორიაზე<sup>2</sup> (გეოგრაფიული კოორდინატები GPS მონაცემებით: 41° 58' <sup>25.4</sup>; E 045° 48' <sup>36.7</sup>) (სურ. 1). ბაზილიკის ნანგრევები აღმოვაჩინეთ 2004 წელს, ნეკრესის ნაქალაქარის მიდამოების უცნობი ისტორიული ძეგლების დაზვერვითი ძიებისას. ამ ძეგლის შესახებ ისტორიული დოკუმენტები ჯერჯერობით სრულიად არ მოგ-

1 ექსპედიციის შემადგენლობა: ნოდარ ბახტაძე – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ექსპედიციის ხელმძღვანელი; ნიკოლოზ თუშაბრამიშვილი – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აკადემიური დოქტორი; პაატა ლეჟავა – არქეოლოგიის მაგისტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი; ბაკალავრიატის საფეხურის IV კურსის სტრუდენტები, ვაჟა მამაშვილი და ბაჩანა გაბეხაძე; მალხაზ დათუკიშვილი – ისტორიული ძეგლების დიგიტალური ფიქსაციის სპეციალისტი (მოწვეული პირი).

2 ნასახლარს ასე ვათარიღებთ აქ მიწის ზედაპირზე მიკვლეული კერამიკული ნაკეთობების ფრაგმენტების საფუძველზე, რომელთა წარმოდგენაც ამჟამად, პუბლიკაციის ფორმატის გათვალისწინებით, ვერ ხერხდება.

ვეპოვება და ის არც გეოგრაფიულ რუკებზეა დატანილი. ამ ადგილზე ეკლესიის არსებობა არამცთუ მეცნიერთათვის, არამედ ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც უცნობი იყო და, ამდენად, სახელწოდება „დოლოჭოპი“ წარსულში ამ ტერიტორიაზე მდებარე სოფლის შესახებ ქ. ყვარლის ბინადართა მეხსიერებაში შემონახული თქმულებიდან მომდინარეობს.

გათხრების დაწყებამდე ნაგებობის ფართობი და მიმდებარე ტერიტორია მთლიანად ტყით, ნარ-ეკლითა და ხავსმოდებული, ნაშალი ქვებით იყო დაფარული, მაგრამ მიწის ზედაპირის მალლა ხილული ორიოდე დეტალის საფუძველზე იმთავითვე ვივარაუდეთ, რომ ეს უნდა ყოფილიყო გრანდიოზული სამნავიანი ბაზილიკის ნანგრევები (სურ. 2). ამ ძეგლის არსებობის შესახებ წინასწარი მონაცემები ჯერ ყვარლის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ყვარელში“ გამოვაქვეყნეთ [ბახტაძე 2006: 1, 8], შემდეგ კი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს მივაწოდეთ. შედეგად, საანგარიშო გათხრები სწორედ ამ ორგანიზაციის დაფინანსებით ჩატარდა.

2012 წლის სეზონის განმავლობაში, ჩვენი ექსპედიციის მიზანს შეადგენდა არქეოლოგიური სამუშაოების მეშვეობით გამოვლენილი არქიტექტურული დეტალების და სხვა არტეფაქტების ანალიზის საფუძველზე დაგვედგინა აღნიშნული ბაზილიკის თავდაპირველი გეგმარება, მისი ამ დასახლებულ პუნქტში აგების ხანა, ვითარება და მიზანი; გარდა ამისა, ვიმედოვნებდით, შეძლებოდა გვარად წარმოგვეჩინა ამ ტაძარში მიმდინარე ლიტურგიული პროცესების ხასიათი, მისი შემქმნელი საზოგადოების და მრევლის სულიერი და მატერიალური ყოფის დეტალები, ბაზილიკის ფუნქციონირების შეწყვეტისა და ხელახალი გამოყენების ყოველი ფაზის ისტორიული ფონი.

ბაზილიკის ნანგრევების მცენარეული საფარისგან განთავისუფლების შემდეგ გამოირკვა, რომ ნაგებობის აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის კედლების გარკვეული მონაკვეთები საკმაოდ მაღალ ჰორიზონტამდე (დაახ. 4-7 მ-მდე) იყო შემორჩენილი, ამასთან, ვერტიკალური ღერძიდან საკმაოდ იყო გადახრილი ინტერიერისკენ, ხოლო დასავლეთის კედელი კი, მიუხედავად მცირე, 2-3 მ სიმაღლისა, გარეთ მკვეთრად გადაზნექილად შემორჩენილიყო. ამ კედლების გარეთა პერიმეტრზე მიწისა და ქვის გროვის ალება დანგრევის საშიშროების გათვალისწინებით, მიზანშეუწონელი აღმოჩნდა და მიწის ალება იატაკის ნიშნულამდე მხოლოდ ტაძრის ინტერიერში მოხერხდა, გარეთა პერიმეტრის შემოყოლებზე კი ალაგ-ალაგ გეგმარების დასაზუსტებელი ჭრილები გავავლეთ.

როგორც გათხრების დაწყების შემდეგ გამოირკვა, ბაზილიკის დანგრევისა და ფუნქციონირების საბოლოოდ შეწყვეტის შემდეგ, ამ ადგილზე განვითარებულ შუა საუკუნეებში მეტად მჭიდრო სამაროვანი მოუწყიათ, რომელსაც ტაძრის მანამდე შემორჩენილი კონსტრუქციების ნაშთების მნიშვნელოვანი ნაწილი დაუზიანებია, ეს კი ინტერიერის იატაკის სრულად გამოვლენას ართულებდა. აბუნებრივია, მიუხედავად გვიანდელი სამაროვნის მიმართ ჩვენი ნაკლები ინტერესისა, არქეოლოგიურმა სამუშაოებმა მოიცვა ამ ქვა-ყუთების ტიპის სამარხების სკრუპულოზული კვლევაც.

როგორც ბაზილიკის ხილული ნაშთების და ახლადგამოვლენილი ხუროთმოძღვრული დეტალების, ისე გათხრების პროცესის ფიქსაცია მიმდინარეობდა უახლესი ტექნოლოგიის გამოყენებით. უმნიშვნელოვანეს შედეგს მივაღწიეთ ძეგლის ლაზერული სკანირებით. სამუშაოები შეასრულეს ქართულ-კავკასიური ინსტიტუტიდან მოწვეულმა სპაციალისტებმა „ლეიკა ჯეოსისტემს“-ის მაღალი გარჩევადობის ლაზერული სადგურის მეშვეობით. არქეოლოგიური ფიქსაციის ამ უაღრესად ზუსტი და პრეზენტაბელური მეთოდის გამოყენება საქართველოში, პირველად სწორედ ამ სამუშაოებისას მოხერხდა. ლაზერული ანაზომის ბაზაზე შეიქმნა ძეგლის ციფრული დოკუმენტაცია, 2<sup>ა</sup> და 3<sup>ა</sup> მოდელი და დეტალური ნახაზები.

მუშაოების პირველი ფაზის განმავლობაში, ძეგლი ტერიტორიის მცენარეული საფარველისგან განთავისუფლების შემდეგ, უპირველესად დაზუსტდა ბაზილიკის გარე კედლების, ნაგებობის გამყოფი სვეტების, საკურთხევლისა და პასტოფორიუმების კონფიგურაციები, კედლებში დატანებული ლიობების პარამეტრები.

სამუშაოების დაწყებამდე ზედაპირულად ხილული იყო მხოლოდ ჩრდილოეთის კედლის თავდაპირველი გრძივი მონაკვეთის დაახ. 70%, ვრცელი ინტერვალებით და არაავთენტური, ჩამონგრეული ლიობებით შესასვლელების მიდამოებში; მეტ-ნაკლებ სიმალლემდე შემორჩენილი იყო საკურთხევლის აღმოსავლეთიდან მომზლუდავი კედელიც. გარდა ამისა, ნაოსში, ნანგრევების ზედაპირიდან 5-10 სმ სიმალლეზე, ერთ ადგილზე, შეინიშნებოდა ჯვრისებრი გეგმის სვეტის ზედაპირის მოხაზულობა.

გათხრების პროცესში გამოირკვა, რომ ჩვენი კვლევის ობიექტი ყოფილა 35.7 მ სიგრძის და 18 მ სიგანის, მართკუთხა გეგმის ბაზილიკური ტიპის ტაძარი – ანუ, აღმოსავლეთ საქართველოში დღემდე აღმოჩენილ ბაზილიკათაგან უდიდესი ნაგებობა (სურ. 3). ყოველ კედელში, გარდა აღმოსავლეთისა, თითო შესასვლელი კარი ყოფილა დატანებული. მისი ნაოსი 5 წყვილი ჯვრისებრი გეგმის სვეტით

სამ ნავად იყო დაყოფილი (სურ. 4, 4-1, 4-2). ამ სვეტთაგან კარგად, სრული გეგმური მოხაზულობით, 2 მ-მდე სიმაღლეზე შემორჩენილი აღმოჩნდა მხოლოდ დასავლეთის უკიდურესი 2 წყვილი; კიდევ 4 სვეტი სრული მოხაზულობით გამოჩნდა, მაგრამ ისინი მხოლოდ 1 მ-მდე სიმაღლისაა; მხოლოდ 2 სვეტის ადგილზე მივაკვლიეთ გვიანდელი სამარხებისგან ფაქტიურად დაშლილი სვეტების ლოდების გროვას ავთენტურ, მართკუთხა, დაახ. 2X2 მ სიგრძე-სიგანის, 20-25 სმ სიმაღლის ცოკოლზე; კარგად გამოვლენილი სვეტებიც ამგავრივე „ბალიშებს“ ეყრდნობა (სურ. 5).

ბაზილიკის კედლები და სვეტები აგებული ყოფილა მკვერივი კირქვის ფლეთილი და რიყეზე ნაგროვები, კარგად ნარჩევი, დიდი ზომის ქვებით, დულაბის ხსნარზე. კუთხეებში, ლიობების ნაპირებში, თაღების გამოსაყვანად და სვეტების კაპიტელებად, კარგად ნათალი შირიმის ქვა ყოფილა გამოყენებული.

შუა ნავი აღმოსავლეთით მკვეთრად ნალისებური გეგმის აფსიდიტა დასრულებული, რომელიც ზემოდან, ქვის კონქით იყო დასრულებული (სურ. 6). საკურთხევლის იატაკის და სინთრონონის ფართზე ჩაწოლილი აღმოჩნდა კონქის ნგრევით გაჩენილი ქვითკირის უზარმაზარი ბლოკები. ამ „ლოდებს“ სერიოზულად ჩაუზნეცია საკურთხევლის ფიქალის ქვებით მოფენილი იატაკი, დაუზიანებია სინთრონონის შემადგენელი ოთხსაფეხურიანი ხარისხი და სამეფუფო ტახტი. მიუხედავად დაზიანებისა, ცხადი გახდა, რომ ეს ტახტი საფეხუროვან ხარისხებზე დაშენებული, დასავლეთისკენ ვიწრო მხარით მიმართული, ტრაპეციული გეგმის შემადგენლობაზე იყო დაფუძნებული. ასეთი აღნაგობის საკურთხევლები საქართველოში დღემდე არ ყოფილა დადასტურებული (რამდენადმე მსგავსი სინთრონონები ჩვენ მიერ დადასტურებულია ყვარლის რაიონშივე, არეშის ნაქალაქარზე, VI ს-ის ე.წ. „მდინარისპირა“ სამეკლესიან ბაზილიკაზე, თუმცა, ეს უკანასკნელი ნიმუში დოლოჭოპის ბაზილიკის საკურთხევლის თემის შედარებით გვიანდელი გამოძახილი უნდა იყოს [ჭილაშვილი 1991, სურ. 24]).

საკურთხევლის მარჯვნივ და მარცხნივ, გვერდითა ნავების გაგრძელებაზე, სწორკუთხა გეგმის პასტოფორიუმები – სავარაუდოდ სადიაკვნე და სამკვეთლოა მოწყობილი<sup>3</sup>, შესასვლელებით ამ ნავებიდან (სურ. 7). ინტერესი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ საკურთხევლის ჩრდილოეთით მდებარე პასტოფორიუმს, თავდაპირველად დამატე-

3 რადგანაც პასტოფორიუმების ზუსტი ფუნქციური დიფერენციაცია Vს-ის ქართულ ტაძრებში, ქართველ მეცნიერთა შორის ჯერ კიდევ აზრთა სხვაობას იწვევს [ბერიძე 1974: 24; ჯაბუა 2009: 12, 64-67; ბახტაძე 2010: 210], ჩვენც ამჯერად თავს ვიკავებთ თითოეული ამ სათავსის დანიშნულების დაბეჯითებით დაკონკრეტებისგან.

ბითი, ჩრდილოეთიდან შესასვლელი კარიც ჰქონია. ეს დეტალი თითქოს ეჭქვეშ აყენებს შესაძლებლობას ოთახის იმთავითვე სამკვეთლოს ფუნქციით მოწყობის შესახებ, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მოგვიანებით (დაახ. ტაძრის აგებიდან 1-2 საუკუნის შემდეგ), ეს კარი ქვითკირის შედარებით ვიწრო და სუსტშემკვრელიანი წყობით ამოუშენებიათ და გაუუქმებიათ. ეს მოქმედება, შესაძლოა, სწორედ ლიტურგიის წესის ცვლილებაზე და სათავსოს ამჯერად უკვე დანამდვილებით სამკვეთლოს დანიშნულებით გამოყენებაზე მიგვითითებდეს.

რაც შეეხება სამხრეთის პასტოფორიუმს, მას აღმოსავლეთ კიდეში საკურთხევლის თავისებურება იმაშიც გამოიხატება, რომ თითქმის 3 მ-ზე მაღალ ნიშნულზე შემორჩენილ არც ერთ მის კედელში არ ჩანს დატანებული სარკმელი ან სასინათლე ხვრელი. ალბათ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ოთახს სარკმელი მაინც ექნებოდა, ოღონდ სამხრეთის კედლის ძალზე მაღალ რეგისტრში დატანებული, და ის ნგრევისას აღარ შემორჩა.

როგორც იატაკებზე და ნანგრევებში მიმოფანტული, ნათალი, ცალმხრივ მორკალული შირიმის ბლოკების ფორმების შესწავლით დავრწმუნდით, ისინი მხოლოდ ბაზილიკის ნაგებად დამყოფი სვეტების ერთმანეთთან გრძივად დამაკავშირებელი თალების, აგრეთვე კარებების და სარკმელების ზემოდან მომზლუდავი თალების ელემენტებია – მათ შორის სრულიად არ შეგვხვდრია მორკალული დეტალები, რომლებიც შეიძლებოდა ნაგების გადამხურავი კამარების საბჯენი თალების შემადგენელ ნაწილებად მიგვეჩნია (სურ. 8).<sup>4</sup> ამდენად ბაზილიკის ნაგების ქვის კამარებით გადახურვა ფრიად საეჭვო იყო. ეს გარემოება და თავდაპირველი იატაკის დონეზე, ნახშირის ნაწილაკების შემცველ, დამწვარ კრამიტებიან ფენასთან ერთად აღმოჩენილი დიდი ზომის, ათეულობით ნაჭედი ლურსმანი (ე.წ. „ყადალები“; სურ. 9) იმაზე მეტყველებს, რომ ეს ბაზილიკა ხის კონსტრუქციებზე დაყრდნობილი კრამიტის საბურველით ყოფილა გადახურული. გათხრებისას

4 თალების ამ ფრაგმენტებზე შერჩენილი ნათალი რკალების ზომები შევიყვანეთ მათემატიკოსთა მიერ შემოთავაზებულ ფორმულაში:  $D = (a^2 + b^2) : 4b$  : სადაც  $a$  თალის სვეტის რკალის ბოლო წერტილების შემაერთებელი ქორდის სიგრძეა,  $b$  – ამ ქორდის შუა წერტილიდან სვეტის შემომსაზღვრავ რკალამდე აღმართული მართობის სიგრძე, კი ნახევარწრიული თალის ფუძეებს შორის მანძილი. გვამოირკვა, რომ ამ დეტალების დიდი უმრავლესობა ისეთი ნახევარწრიული თალების ნაწილებია, რომელთა „დიამეტრებიც“ დაახ. 10 სმ ცდომილებით, 3.2 მ-ს უდრის, რაც ამ ბაზილიკის გრძივი სვეტთაშორისი მანძილების ტოლია; სამაგიეროდ, ეს მანძილი ოდნავაც კი არ უახლოვდება ტაძრის ცენტრალური ან გვერდითა ნაგების დამაკავშირებელი კამარების ფუძეთა ზომებს: 6მ-ს ან 4 მ-ს. ნანგრევებში 3.2 მ-ზე გაცილებით მოკლე ფუძიანი თალების ფრაგმენტებიც გვხვდება, მაგრამ ისინი უთუოდ სარკმელების და კარებების თავსართების დეტალებია.

დიდი რაოდენობით გამოვლინდა კრამიტით გადახურული სახურავების ფერდების დაბოლოებებზე გაყოლებული, თიხის ცალმხრივ დაკბილული და თეთრ-წითლად მოხატული ანტიფეიქსების ფრაგმენტები (სურ. 10)<sup>5</sup>. ისინი უმთავრესად კოლონების გრძივი მწკრივების და კედლების გასწვრივ დაფიქსირდა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ბაზილიკის შუა ნავი გვერდითებზე მაღალი, ორფერდა სახურავით იყო გადახურული (განსხვავებით საქართველოში მდებარე, ერთ-ერთი უძველესი და საყოველთაოდ ცნობილი, ბოლნისის სიონის ბაზილიკისგან, სადაც ყველა ნავი ერთიანად ორფერდა სახურავის ქვეშაა მოქცეული [ბერიძე 1974: 89]). ნავების გამყოფ თაღნარზე დაყრდნობილ კედელთა სულ ზედა რეგისტრში, ცენტრალური და გვერდითი ნავების სახურავებს შორის მოქცეულ მონაკვეთში, გარკვეული ინტერვალით, რომლის განსაზღვრა ამჟამად შეუძლებელია, დატანებული იქნებოდა ფართო სარკმელები, რასაც გარდა ინტერიერის გასანათებლად აუცილებელი ლოგიკური საჭიროებისა, დაახ. ამ კედლების გასწვრივ ნაპოვნი შირიმის ძლიერ მორკალული სარკმლის თავებიც ადასტურებს. სარკმელები დატანებული იქნებოდა ბაზილიკის გარედან მომზლუდაც სამხრეთის და დასავლეთის კედლებშიც, შეძლებიდაგვარად მაღლა (ჩრდილოეთის, საკმაოდ მაღალ ჰორიზონტამდე შემორჩენილ კედელში, ასეთი სარკმელები რატომღაც არ ყოფილა დატანებული).

გარდა აღნიშნული კონსტრუქციული და დეკორატიული დეტალებისა, რომლებიც ბაზილიკის დანგრევის დროს მიმოიფინა იატაკზე, ამ ჰორიზონტულ დონეზე ოდნავ უფრო დაბლა, ფიქალის ფენილქვეშ, სხვადასხვა ვითარების წყალობით ჩატკეპნილი აღმოჩნდა ტაძრის პირველ ფაზაზე ფუნქციონირების ხანის რამდენიმე ისეთი ჭურჭლის ფრაგმენტიც, რომლებსაც საკმაოდ მახლობელი ანალოგიები გააჩნიათ აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურად შესწავლილი, ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებიდან (მაგ. ურბნისის და ნეკრესის ნაქალაქარებიდან [ჭილაშვილი 1964: ტაბ. XLI-XLIII; აბრამიშვილი... 1962: 200, 201; ბახტაძე 2010: 50, 62, 64]) და რომლებიც, უცილობლად, V საუკუნის ნაწარმს განეკუთვნებიან. ასეთებია, მაგალითად, სამტურია, მსხლისებრი მუცლიანი დოქის ნაწილები, სავარცხლისებრი იარაღით ტალღოვანი ნაკაწრი ორნამენტით შემკული ჭინჭილების ფრაგმენტები, პირმოყრილი, მოწითალოდ შეღებილი და კარგად ნაპრიალები ჯამების პირები და სხვ. (სურ. 11-12).

5 ამის მსგავსი ანტიფეიქსები, საქართველოში ჯერჯერობით მხოლოდ ნეკრესის ჭაბუკაურის IV ს-ის ბაზილიკაში [ბახტაძე 2010: 60] და დმანისის მიდამოების ნავზაურის V ს-ის საეკლესიო კომპლექსშია დადასტურებული [კახიანი...2012: ნახ. 8:12-23].

გათხრებისას დადასტურებული, ჩამოთვლილი ნივთიერი მასალა, სრულ ქრონოლოგიურ თანხვედრაშია ამ ძეგლის თავდაპირველი ხუროთმოძღვრული სახის ანალიზის შედეგებთან (სურ. 13). ჩვენ მიერ არქეოლოგიური კვლევით გამოვლენილი დოლოჭოპის ბაზილიკა, ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ისტორიის დღემდე მიღებული ნებისმიერი კლასიფიკაციით, მისი გეგმარების სტილისტური ნიშნებიდან გამომდინარე, ქართული ქრისტიანული ბაზილიკური ხუროთმოძღვრების განვითარების პირველ ეტაპს განეკუთვნება: მას მხოლოდ ხუროთმოძღვრული მონაცემებითაც კი, ქრონოლოგიურად დიდად ვერ დავაშორებთ საქართველოში V-VI საუკუნეებში გავრცელებულ ნამდვილ, ანუ გეგმიურად წაგრძელებულ, სვეტების მრავალი წყვილით დაყოფილ სამნავიან ბაზილიკებს – ბოლნისის სიონს, ურბნისის წმ. სტეფანეს ბაზილიკას, კაწარეთის სამებას და ა.შ.; თუმცა, ყველა ჩამოთვლილი ბაზილიკისგან განსხვავებით, დოლოჭოპის ტაძარს ხის კონსტრუქციებზე დაყრდნობილი კრამიტის სახურავი ფარავდა (სურ. 14).

ცნობილია, რომ როგორც ქრისტიანულ დასავლეთში, ისე რომის იმპერიის აღმოსავლურ-ქრისტიანულ პროვინციებში, ანტიკურ-რომაული ტრადიციებიდან გამომდინარე, უძველესი ბაზილიკების ორფერდა სახურავები პრაქტიკულად ყოველთვის ხის მზიდ კონსტრუქციებს ეყრდნობოდა, რომლებიც ან გამჭვირვალედ ჩანდა დარბაზთა ინტერიერიდან, ან ხისვე ჭერებით იყო „აფიცრული“ [კოხ 1995: 24-35; ჩალენკო 1953: 17-45]. გამონაკლისის სახით ცენტრალურ სირიაში, მესოპოტამიაში, ეგვიპტესა და ირანში, ქრისტიანული ბაზილიკების გადასახურად ადრებიზანტიურ ხანაშივე ზოგჯერ ქვის კამარებიც გამოიყენებოდა. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბაზილიკების გადახურვის ამ ორივე ხერხს იყენებდნენ როგორც სახელმწიფო მნიშვნელობის, განსაკუთრებულად მონუმენტურ ტაძრებში, ისე რიგით სასოფლო თუ სამონასტრო ეკლესიებში [კომეჩ 1984: 575-585; ბეიერ 1925: 36-97].

აკადემიკოსი გ. ჩუბინაშვილი ბაზილიკების გადახურვის აღნიშნულ ორ მეთოდს შორის სხვაობას ამა თუ იმ რეგიონისთვის ტრადიციული ხუროთმოძღვრული ჩვევების ნაყოფად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელების უძველეს ეტაპებზე კი, მხოლოდ ქვის კამარებით გადახურული ბაზილიკები იგებოდა [ჩუბინაშვილი 1970: 40]. კერძოდ, პატივცემული მეცნიერი ამ კნონზომიერებას ასაბუთებდა საქართველოს მაგალითით, სადაც მისი მოღვაწეობის ხანაში ცნობილი ყოველი ბაზილიკა, დაწყებული V-VI საუკუნეების მიჯნიდან, მართლაც მხოლოდ ქვის კამარებით იყო

გადახურული. შემდგომაც, უკანასკნელ ხანებამდე, მთელი პლეადა ქართველი ხელოვნებათმცოდნეებისა, საქართველოში ხის კოჭებით გადახურული უძველესი ბაზილიკების გავრცელების ფაზის შესაძლებლობას უარყოფდა იგივე მიზეზით – გარდა იმისა, რომ ჩვენში ამგვარად გადახურული ბაზილიკები ზეზეურად სრულიად არ იყო შემორჩენილი, მსგავსი ნაგებობები ჯერ არქეოლოგიურადაც არ იყო დადასტურებული.<sup>6</sup>

დღევანდელი გადასახედიდან, ჯერ ნეკრესის ჭაბუკაურის, ახლა კი დოლოქოპის ბაზილიკის აღმოჩენის შემდეგ, ცხადია, ახლებურად უნდა მივუდგეთ საკითხს უძველესი ქართული ბაზილიკების ზომების, გეგმარებითი პროპორციების თავისებურებების და უპირობოდ ქვის კამარებით გადახურვის შესახებ. რეალურ საფუძველს მოკლებული აღმოჩნდა ცნობილ ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა ერთი ნაწილის შეხედულება იმის თაობაზეც, რომ თითქოს, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების შემდგომ სულ ცოტა ერთი საუკუნის განმავლობაში, საქართველოში სრულიად არ იგებოდა რომაულ-ადრებიზანტიურ თუ აღმოსავლურ-ქრისტიანულ სამყაროს თითქმის ყველა პროვინციაში ესოდენ სწრაფად და საყოველთაოდ გავრცელებული „ნამდვილი“ – დიდი ზომის, აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე მკვეთრად წაგრძელებული, ნავებად რამდენიმე წყვილი სვეტით დაყოფილი მოზრდილი ბაზილიკები [ჩუბინაშვილი 1959: 37, 135; ბერიძე 1974, 22-23 და სხვ.].<sup>7</sup>

ჩვენ მიერ არქეოლოგიურად შესწავლილი, სავსებით ჩამოყალიბებული, რომაულ-ბიზანტიური სამყაროს აღმოსავლეთის პროვინციების „სტანდარტებთან“ აგრერიგად მიახლოებული დოლოქოპის ბაზილიკა (თუნდაც წაგრძელებული გეგმარებით, ნავების გადახურ-

6 თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტობრივი არქეოლოგიური ინფორმაციის არ არსებობის პირობებში, იმხანადაც, ქართული კულტურის ზოგიერთი ცნობილი მკვლევარი, ზოგადი ქრისტიანული სატაძრო ხუროთმოძღვრების ტენდენციებიდან და რამდენიმე ქართული ბაზილიკური ძეგლის (მაგ. ბოლნისის სიონის) ახლებურად დათარიღების საფუძველზე, გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ შეუძლებელი იყო საქართველოში აგებულ პირველ ბაზილიკებს, ახლობელ ქრისტიანულ რეგიონებში დაფიქსირებული სურათისგან, ამდენად განსხვავებული განვითარების გზა გაევილით [კიკნაძე... 1985; კიკნაძე... 1987].

7 ამის მიზეზის სავარაუდო ახსნა ასეთი იყო: თითქოს-და პირველი ქართული ქრისტიანული ტაძრები ბიზანტიის იმპერიის სასულიერო ცენტრებიდან ჩამოსული მისიონერების მიერ იქ არსებული ეკლესიების ზეპირი აღწერის საფუძველზე იგებოდა ადგილობრივი ხუროთმოძღვრების მიერ და ამიტომაც განსხვავებული, პრიმიტიული გეგმარებისა იყო, თუნდაც ნეკრესის მონასტრის ტერიტორიაზე დადასტურებული მცირე სამლოცველოს ტიპისა [Cubinašvili 1936: 26].



ვის ხის კონსტრუქციებით, პასტოფორიუმებით), კიდევ ერთხელ უნდა ადასტურებდეს ქართულ წერილობით წყაროებში სრულიად ცალსახად ასახულ ფაქტს იმის თაობაზე, რომ პირველი ქართული ქრისტიანული ტაძრები სწორედ რომ იბერიის ოფიციალური მიერ საბერძნეთიდან (მემატიანე აქ შეიძლება გულისხმობდეს ზოგადად ბიზანტიურ სამყაროს) მოწვეული ან იქაურ მშენებლობის მეთოდებს კარგად ნაზიარები ადგილობრივი ხუროთმოძღვრების ხელმძღვანელობით იგებოდა [მოქცევაჲ ქართლისაჲ. 1979: 323].

ზოგიერთი საზღვარგარეთელი ხელოვნებათმცოდნე, საუკუნეზე მეტი ხნის წინ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რომის იმპერიასა და მის მიმდებარე სხვა აღმოსავლურ-ქრისტიანულ ქვეყნებში, ქრისტიანობის ტრიუმფალურად გავრცელების შემდგომ დაახლოებით ერთი საუკუნის განმავლობაში, ინტენსიურად მიმდინარეობდა საკმაოდ მოზრდილი, ზუსტად რომაულ-ბიზანტიური სტილის თუ არა, მათთან საკმაოდ მიახლოებული გეგმარების ბაზილიკების მშენებლობა. ეს ხანა აღმოსავლურ ეკლესიათმშენებლობაში ვერ ჩაითვლება დიდი შემოქმედებითი ძიების ეპოქად – ღარიბი ხუროთმოძღვრული-კონსტრუქციული ხერხებით ნაგები ბაზილიკები ზოგჯერ მალევე ინგრეოდა მიწისძვრების შედეგად. მხოლოდ მოგვიანებით, V საუკუნიდან მოყოლებული, როდესაც პირველი ბაზილიკების საჩქაროდ მშენებლობის „ციებ-ცხელებამ“ გადაიარა, აღნიშნული ქვეყნების ხუროთმოძღვრები და მმართველი წრეები შეუდგნენ ამ თემის ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინებით ხელახალ გააზრებას. სწორედ ამის შედეგად შეიქმნა თითქმის ყველა ცალკეულ რეგიონში ძველი, კლასიკური ბაზილიკების მოდელებისგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული ტიპოლოგიური ვარიაციები, ხშირად კი სრულიად ორიგინალური შედეგებიც [კონდაკოვ 1904: 30-62, 268].

ვფიქრობთ, სავსებით დასაშვებია, რომ დოლოჭოპის გრანდიოზული, ადრეული ბერძნულ-რომაული ქრისტიანული ბაზილიკების ზოგადი სქემით, მაგრამ არცთუ ლაზათიანი კონსტრუქციებით ნაგები ტაძარიც ამავე ზოგად-აღმოსავლურ ტენდენციას დაეუკავშიროთ [რავენა...2010].

საკითხის სწორედ ასეთი გააზრებით შესაძლებელია პასუხი გავცეს კითხვას, თუ რატომ აღარ იგებოდა საქართველოში VI ს-დან მოყოლებული, ბიზანტიური სამყაროდან მექანიკურად გადმონერგილი, ხის კონსტრუქციებით გადახურული და ამის გამო, ბუნებრივია, ნაკლებად სეისმომედეგი ბაზილიკები – ისინი ჩვენში შედარებით ნაკლებად წაგრძელებულმა, ქვის კამარებით კარგად შეკრულმა და ადგილობრივი ხუროთმოძღვრული ტრადიციებისადმი უკეთ მისადა-

გებულმა ნიმუშებმა შეცვალა [ჩუბინაშვილი 1970: 39-40], რომლებმაც სწორად შერჩეული კონსტრუქციების წყალობით, ჩვენამდე უკეთესადაც მოაღწია.

ამრიგად, ადრეულ რომაულ-ბიზანტიურ და ე. წ. სირიული ტიპის ბაზილიკებთან ზომით, კონსტრუქციებით და შემკულობით ესოდენ მიახლოებულ დოლოჭოპის ბაზილიკას, დღესდღეობით საქართველოში ანალოგი არ გააჩნია ჩვენ მიერვე ამ ათიოდე წლის წინ ნეკრესის ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩენილი, IV ს-ის ჭაბუკაურის ბაზილიკის გარდა (სურ. 15, 15-1) [ბახტაძე 2010]. გამოდის, რომ დღემდე საქართველოში მიკვლეული, „ნამდვილი“ ბაზილიკური სტილის დაცვით ნაგები ორი უდიდესი და უძველესი ტაძარი ყვარლის მახლობლად, ერთმანეთისგან 6-7 კმ-ის დაშორებით მდებარეობდა. დოლოჭოპის წარმოდგენილი გრანდიოზული ბაზილიკა რომ მხოლოდ ქალაქური ტიპის დასახლებაში შეიძლებოდა აეგოთ, ამაში, ვფიქრობთ საკამათო არაფერია; მეორე მხრივ, ისტორიულ ქალაქ ნეკრესისგან ასეთი მცირე მანძილით დაშორებული კიდეც ერთი, იმავდროული და ისტორიული წყაროებისთვის სრულიად უცნობი ქალაქის წარმოდგენა კი ძნელია. აქედან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია, რომ ნამოსახლარი, სადაც დოლოჭოპის ბაზილიკა აუგიათ, ქალაქ ნეკრესის უბნად ჩავთვალოთ – ერთმანეთისგან 3-4 კილომეტრით დაშორებული უბნები ხომ დამახასიათებელი იყო ანტიკური და ადრეული შუასაუკუნეების საწყისი ეტაპის ქალაქებისთვის (გავიხსენოთ თუნდაც „დიდი მცხეთა“).

ამ ლოგიკური დაშვების შემთხვევაში კი, ჭაბუკაურის და დოლოჭოპის ორი ამდენად გრანდიოზული ბაზილიკის ერთდროული ფუნქციონირება თუნდაც მეტად დიდ, მრავალუბნიან ქალაქში, ძნელი წარმოსადგენია.

რა თქმა უნდა, საბოლოო სიტყვას როგორც ზოგადად ნაქალაქარ ნეკრესის, ისე ახლად მიკვლეული ტაძრის არქეოლოგიური კვლევის შედეგების შემდგომი ხუროთმოძღვრულ-ხელოვნებათმცოდნეობითი და ისტორიულ-გეოგრაფიული გააზრება იტყვის, მაგრამ დოლოჭოპის და ჭაბუკაურის ბაზილიკების გეგმარებით-სტილისტური შედარებითი ანალიზი, წინასწარ შემდეგზე მეტყველებს: როგორც ჩანს, ჭაბუკაურის გაცილებით პრიმიტიული გეგმარების, მოგვიანებით ჩამოყალიბებული ქართული ეკლესიების სტილის ფონზე ჯერ კიდეც საკმაოდ უცხო ნიშნებით აღბეჭდილი ბაზილიკა (მას ხომ გარდა ხის კოჭოვანი გადახურვისა, სწორკუთხა გეგმის საკუთხეველი და კვადრატული კვეთის სვეტები აქვს), რამდენიმე ათწლეულით უსწრებს დოლოჭოპის ბაზილიკას; ამ უკანასკნელში გვხვდება ნახევარწრიული

აფსიდი, ჯვრის გეგმის ნაგებობის გამყოფი სვეტნარი, ჩამოყალიბებული პასტოფორიუმები. სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ დოლოჭოპის ბაზილიკა შეიძლება ქრონოლოგიურად რამდენადმე ჩამორჩებოდეს ჭაბუკაურისას. ისიც სავარაუდოა, რომ დოლოჭოპის ბაზილიკა ჭაბუკაურის ბაზილიკის მიწისძვრისგან წყობიდან გამოსვლის შემდეგ აიგო (ჭაბუკაურის ბაზილიკაში კარგად დაფიქსირდა V ს-ის I ნახევარში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრა, რის შემდეგაც, VI საუკუნეში, იქ საკმაოდ მოკრძალებული მასშტაბის ეკლესია აუგიათ) [ბახტაძე 2010: 209-210].

მეორე მხრივ, თუკი ეს ორი ბაზილიკა (დიდი ალბათობით, ერთი და იმავე საეპისკოპოსოს საკათედრო ტაძრები), ერთმანეთის შემცვლელია, ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ დოლოჭოპის ტაძრის აგებით, ქალაქ ნეკრესის ცენტრის ადგილმონაცვლეობა მოხდა ჭაბუკაურის მიდამოებიდან აღმოსავლეთით. V საუკუნის ამ ქმედებაში, რაიმე მოსაზრებით ამ „მეგაპოლისის“ პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრის მაინც და მაინც დურუჯის ხეობისკენ გადაწევა ხომ არ უნდა დავინახოთ? აქ უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ იმის დიდი შესაძლებლობა, რომ ეს დოლოჭოპის ბაზილიკა ვახტანგ გორგასლის მეფობისას, მისი უშუალო ძალისხმევითაც კი იყოს აგებული. როგორც ცნობილია, ვახტანგ გორგასლის საგარეო პოლიტიკურ-ეკონომიკური აქტიურობის გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ჩრდილო კავკასიის ქვეყნების საქართველოს სახელმწიფოსადმი დაქვემდებარება იყო. ეს ხომ არ გახდა მიზეზი დურუჯ-ჩელთის ხეობათა ერთიანი ეკონომიკური ზონის მთავარი ქალაქის (ნეკრესის) და, შესაბამისად, ეპარქიის ცენტრის აღმოსავლეთით გადანაცვლებისა – დურუჯის ხეობის აყოლებით ხომ იმხანადაც მოხერხებული გზა მიემართებოდა დიდოეთ-დურძუკეთისკენ (უშუალოდ დღევანდელი ნაქალაქარი ნეკრესის აყოლებაზე ასეთი უღელტეხილი ცნობილი არ არის).<sup>8</sup>

როგორც აღნიშნულ განათხარ ფართობთა სტრატეგრაფიამ, იქ დაფიქსირებულმა შემდგომ ეპოქათა არტიფაქტებმა თუ კონსტრუქ-

8 რა თქმა უნდა, წინასწარ არც ის არის გამოსარიცხი, რომ ქალაქის ცენტრის, ან მხოლოდ კათედრალური ტაძრის ასეთი ადგილმონაცვლეობა, ისტორიული წყაროებიდან [მროელი 1955; აბულაძე 1955] ცნობილ იმ მოვლენას უკავშირდებოდეს, რომლის მიხედვითაც VI ს-ში ნეკრესის ეპისკოპოსის, წმ. აბიბოს ნეკრესელის ძალისხმევით ივრის ხეობის ზემო წელში მდებარე ძველი დასახლებული პუნქტიდან, ყვარადან, ქრისტიანობაზე მოქცეული წარმართი მოსახლეობის დაახ. ამ ადგილებში გადმოსახლება მოხდა; ან იქნებ, ეს გადმოცემა დროში რამდენადმე აღრეულია და სინამდვილეში ოდნავ უფრო ადრე, ვთქვათ V ს-ში მოხდა ყვარას მხარის მთის მოსახლეობის მიგრაცია ნეკრესის „ქვეყანაში“ დოლოჭოპში, ანუ დღევანდელი ყვარლის მიდამოებში? ასეთ შემთხვევაში, შეიძლება დადგეს საკითხი უძველესი „ყვარელი“ მოსახლეობის აქ დამკვიდრების და თვით ტოპონიმ ყვარელის გაჩენის შესაძლო ეპოქის გადახედვის შესახებ.

ციულმა დანამატებმა დაგვანახა, ამ ძეგლის გამოყენება 3 ძირითად ქრონოლოგიურ ფაზაზე მიმდინარეობდა. პირველ ეტაპზე, ბაზილიკის თავდაპირველი სახით და დანიშნულებით ფუნქციონირებაზე უკვე ვისაუბრეთ. V ს-ის I ნახევარში დაწყებული ეს ციკლი, დანგრევისას მის ფართზე მიმოფანტული არტეფაქტების და გაჩანაგება-ხანძრის ნაკვალევის საფუძველზე, დაახ VIII-IX სს-ში უნდა შეწყვეტილიყო (ბუნებრივი იქნება, რომ ეს დარბევა კახეთში არაბი სარდლის, მურვან-ყრუს გამანადგურებელ ლაშქრობას დავუკავშიროთ).

სახურავჩაქცეული და მზიდი კონსტრუქციების დაზიანებით წყობიდან გამოსული ეს ბაზილიკა, სრულ რესტავრაციას ალბათ აღარ ექვემდებარებოდა, თანაც, აღნიშნული მასშტაბის ტაძარი მტრის შემოსევისგან ეკონომიკურად მნიშვნელოვნად დაცემულ, სოფლის დონემდე დაკნინებულ ქალაქს აღარც ესაჭიროებოდა. სწორედ ამიტომ, ცოტა ხნის შემდეგ, დაზიანებული ბაზილიკის მხოლოდ შუა და ჩრდილოეთის ნაგებობის ნაწილებილა აღადგინეს, ისიც დასავლეთიდან მე-3 წყვილ სვეტების სიგრძემდე (სურ. 16); ამისთვის დარჩენილ სვეტებს შორის სიცარიელები ბაზილიკის დანგრეული ნაწილების მასალით (მათ შორის შირიმის მეორადად გამოყენებული „მარკირებული დეტალებით“) შეავსეს და გამოიყვანეს დარბაზული ეკლესია ჩრდილოეთის ეკვდრით, ცხადია, ამჯერად მხოლოდ ორფერდა სახურავქვეშ მოქცეული. დაახ. 40 სმ სიმაღლემდე შემალღებული ყოფილა ამ ეტაპის ეკლესიის იატაკიც. ამ სტადიის ეკლესიის დანგრევის ზუსტი ხანისა და ვითარების დადგენა გაცილებით ბუნდოვანია. გათხრებმა ნაგებობის იატაკზე მიმოფანტული ამ პერიოდის მასალიდან ძირითადად ჩალისფრად და ღია ყავისფრად გამომწვარი, თხელკეციანი, ნაპრიალები, ცალყურა ქინჩილების მრავალი ფრაგმენტი გამოავლინა (სურ. 17, 18). არც იმის დამადასტურებელი ფაქტები ჩანს, ეს არცთუ ოსტატურად რეკონსტრუირებული ნაგებობა მიწისძვრას და ან სხვა ბუნებრივ მოვლენას შეეწირა თუ კვლავ მტრის შემოსევის შედეგად დაიქცა დაახ. IX-და XI ს-მდე შუალედში. ფაქტი ერთია: დაახ. XII-XIII საუკუნეებში ეს განახლებული ეკლესიაც საბოლოოდაა წყობიდან გამოსული და მის ჰუმუსოვანი ფენით დაფარულ ნანგრევებში, რომელიც სამი მხრიდან – აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან დაახ. დღევანდელი კონფიგურაციის კედლებით იყო შემორტყმული, იმ პერიოდში ტაძრის ირგვლივ განაშენიანებული სოფლის მოსახლეობის მიერ, მეტად მჭიდრო სასაფლაოდ ყოფილა გამოყენებული (სურ. 19).

ეს სამარხები, როგორც წესი, ქვაყუთების ტიპისა ყოფილა – ოთხი მხრიდან საკმაოდ კარგად დამუშავებული ქვის ფილებით მოზღუდუ-

ლი, ზემოდან კი უმეტესწილად 2-დან 4-მდე ბრტყელი ქვის ფილით დახურული. აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე დამბრობილი ეს სამარ-ხები, როგორც წესი, კოლექტიურები ყოფილა: მათში სხვადასხვა სქესისა და ასაკის ადამიანთა ნეშტები გვხვდება თავით დასავლეთით; ამათგან, ბოლოს დამარხულების პოზა აშკარად ზურგზე გამოტილიან და გულზე ან მუცელზე ხელებდაკრეფილი ყოფილა, ადრე დამარხულების ძვლები კი გვერდზე ან აღმოსავლეთ კიდეშია მიხვეტილი, თუმცა მათი ზოგიერთი ნაწილი (უფრო ქვედა კიდურები) ადგილზეა და მათი ქრისტიანულ პოზაში დამარხვაც უდავოა (სურ. 20, 21). ამდენად, ამ ქვა-სამარხების სახით საქმე გვაქვს ადრეულ და განვითარებულ შუა საუკუნეების საქართველოში ფრიად გავრცელებულ ოჯახურ საძვლეებთან და, ბუნებრივია, მათში სოფლის მცხოვრები საერო პირები იკრძალებოდნენ. ორი ასეთი ქვა-სამარხი შიგ საკურთხეველშიც მოუწყიათ, საკურთხეველის დეტალების გამოყენებით და მინიმალური დაზიანებით, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იმხანად უმოქმედო ეკლესიის ნანგრევებს საკურთხეველი დღევანდელზე უკეთ ჰქონია შემორჩენილი (შესაძლოა, კონქიანად).

ამ განათხარი სურათიდან გამომდინარე, ცხადია, რომ სასაფლაოს მოსაწყობად მანცდამანც ტაძრის ინტერიერის არჩევა არამც და არამც არ იყო შემთხვევითი: ზეპირი გადმოცემითა და შემორჩენილი არქიტექტურული ფორმებიდან გამომდინარე, სოფლის ბინადრებს შესანიშნავად ჰქონდათ გააზრებული, რომ ნანგრევები უძველესი სატაძრო ნაგებობის ნაშთს და, ამდენად, წმინდა ადგილს წარმოადგენდა; ამიტომაც, სულთა ცხოვნებისთვის ოჯახის წევრ მიცვალებულთა იქ დაკრძალვა და საკუთარი საგვარეულო საძვალის იქვე მოიწყობა მათთვის დიდად სასურველი იყო. საბოლოოდ, ადგილის უკმარისობის გამო, ტაძრის ინტერიერის გარდა, იმავე ეპოქის სამარხები ნანგრევი კედლების გარეთაც მოუწყიათ, მათზე მიჯრით. თითქმის ყოველი ეს სამარხი კარგადაა დათარიღებული აღნიშნული ეპოქით მათში დამარხვისას შემთხვევით მოხვედრილი კერამიკული ნაკეთობების ფრაგმენტებით [რამიშვილი 1970: ტაბ. XXVIIIa-1,3; სინაურიძე 1966; ბახტაძე 2013: 126, 126-1 და სხვ.], ტანსაცმლის ატრიბუტებით და ინდივიდუალური, არცთუ მდიდრული სამკაულით (სურ. 22, 23).

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ კოლექტიურ ქვაყუთთაგან ზოგიერთში მიცვალებულთა ნეშტები თავისუფალ სივრცეში, სამარხის ფსკერზე იყო შემორჩენილი და მხოლოდ საუკუნეების განმავლობაში ნაყური წყლისგან შეტანილი მიწის მასით იყო ოდნავ დაფარული; ამის საპირისპიროდ, დანარჩენ სამარხებში, უკანასკნელი მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ ქვაყუთები სპეციალურად ჩაყრილი მიწით იყო

ამოვსებული. გადაჭრით იმის თქმა, თუ რატომ ხდებოდა ამ ორი წესის მონაცვლეობა თანადროულად, ძნელი სათქმელია. გვგვაქვს მოსაზრება, რომ მიწით ივსებოდა ის ქვაყუთები, რომელშიც მეტი მიცვალეზულის დაკრძალვას აღარ აპირებდნენ – წინააღმდეგ შემთხვევაში, კოლექტიური ქვა-სამარხი აზრს დაკარგავდა, რადგან ყოველი შემდგომი მიცვალეზულის დაკრძალვისას საჭირო განდებოდა მიწის თავიდან ამოთხრა და არა მხოლოდ სახურავის 1-2 ფილის გადახდა. მართლაც, ყოველ მიწით ბოლომდე ამოვსებულ სამარხში უკანასკნელი და წინა მიცვალეზული ზუსტად ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდა ჩასვენებული, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ამ სამარხთა შემდგომი დაკრძალვისთვის „გაუქმებამდე“, მათი შიდა სივრცეებიც ცარიელი იყო. ასეა თუ ისე, მიწით შევსებულმა სამარხებმა, მათში ჩაყრილ მიწაში შერეული იმდროინდელი კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტების წყალობით (მაგ.: თეთრი ანგობით დაფარული, გრავირებით მოხატული და ერთფერად მოჭიქული ჯამების ნაწილები; თეთრ ანგობზე მრავალფერად მოხატული და უფეროდ მოჭიქული ჯამების ფრაგმენტები) [ჯაფარიძე: 1956: ტაბ. XX-2; მიწიშვილი 1969: ტაბ. XIV-1 და სხვ.], მთელი ამ სამაროვნის ფუნქციონირების ზედა ზღვარი – XII-XIII საუკუნეები, კიდევ უფრო დამაჯერებელი გახადა, ვინაიდან სხვა სამარხეული ინვენტარი, მაგ., მიცვალეზულთა ღარიბული სამკაული, ამ თარიღის ესოდენ ზუსტად დათარიღების საშუალებას არ იძლეოდა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ უკანასკნელი ორიოდე ათწლეულის განმავლობაში, რიგი ცნობილი ქართველი მეცნიერების მიერ ჩვენ მიერ აღნიშნული კერამიკული ნაკეთობანის ანალოგები ოდნავ უფრო გვიანი პერიოდისადაცაა მიჩნეული [მინდორაშვილი 2009], შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბაზილიკის მიდამოებში აღნიშნული სოფელი XIV საუკუნეშიც ფუნქციონირებდა და მასში ცხოვრება მოულოდნელად შეწყდა XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, სავარაუდოდ თემურ-ლენგის გამანადგურებელი ლაშქრობის შედეგად.

განვითარებული შუა საუკუნეების შემდგომი კულტურული ფენა, უშუალოდ დოლოჭოპის ბაზილიკის ფართობზე არ შეინიშნება. ყოველ შემთხვევაში, გათხრებისას, არც აღნიშნულ სამაროვანზე და არც იმავდროული კულტურული ფენის შემდგომ ქრონოლოგიურ შრეებში, დანამდვილებით XV საუკუნეზე გვიანდელი არტეფაქტები არ აღმოჩენილა.<sup>9</sup>

9 როგორც აღვნიშნეთ, ყვარლის მოსახლეობაში შემორჩენილი ხალხური გამოცემების მიხედვით, გვიან შუა საუკუნეებში ამ მიდამოებში გაშენებული ყოფილა სოფელი, სახელწოდებით „დოლოჭოპი“, თუმცა ამ ეპოქის მატერიალური ნაშთები უშუალოდ ჩვენ მიერ გამოკვლეულ ძეგლზე სრულიად არ შეინიშნება.

## დამოწმებანი

- აბულაძე 1955:** ილია აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. თბ., 1955.
- აბრამიშვილი... 1962:** როსტომ აბრამიშვილი, ლევან ჭილაშვილი, „ლოჭინის ნასოფლარის არქეოლოგიური გათხრები: ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXIII-. თბ., 1962.
- ბახტაძე 2013:** ნოდარ ბახტაძე, კერამიკული ნაკეთობანი შუა საუკუნეების საქართველოში. თბ., 2013.
- ბახტაძე 2010ა:** ნეკრესი. ცნობარი მომლოცველთა და მოგზაურთათვის. თბ., 2010.
- ბახტაძე 2010ბ:** ნოდარ ბახტაძე, „ნეკრესის ნაქალაქარზე გამოვლენილი ჭაბუკაურის ბაზილიკის დათარიღებისათვის“, *ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში*, #19. თბ., 2010.
- ბახტაძე 2006:** ნოდარ ბახტაძე, „ყვარლის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიციის ახალი აღმოჩენები“ *ვაზეთი „ყვარელი“*, # 19-20, 2006.
- ბერიძე 1974:** ვახტანგ ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბ., 1974.
- კახიანი... 2012:** კახა კახიანი, გიორგი ჭანიშვილი, ჯუმბერ კოპალიანი, კიტი მაჩაბელი, ზაზა ალექსიძე, ელგუჯა ლილვაშვილი, ნინო პატარიძე, ადრექრისტიანული საეკლესიო კომპლექსი დმანისიდან. თბ., 2012.
- კიკნაძე... 1985:** ზურაბ კიკნაძე, თენგიზ მირზაშვილი, „რას მოგვითხრობს მირიანის წიგნი“, *კრიტიკა*, #6, თბ., 1985.
- კიკნაძე... 1987:** ზურაბ კიკნაძე, თენგიზ მირზაშვილი, „კულტურის ისტორიის კვლევის მეთოდებისთვის“, *კრიტიკა*, თბ., 1987.
- მიწიშვილი 1969:** მარინე მიწიშვილი, მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში (IX-XIII სს). თბ., 1969.
- მინდორაშვილი 2009:** დავით მინდორაშვილი, არქეოლოგიური გათხრები ძველ თბილისში. თბ., 2009.
- მოქცევაჲ... 1979:** მოქცევაჲ ქართლისაჲ, შატბერდის კრებული X საუკუნისა. თბ., 1979.
- მროელი 1955:** ლეონტი მროელი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ქართლის ცხოვრება, ტ. I. თბ., 1955.
- რამიშვილი 1970:** რამინ რამიშვილი, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, სიონი. თბ., 1970.
- სინაურიძე 1966:** მანანა სინაურიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკა. თბ., 1966.

- ჩუბინაშვილი 1936:** გიორგი ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. 1. თბ., 1936.
- ჭილაშვილი 1991:** ლევან ჭილაშვილი, არეში. თბ., 1991.
- ჭილაშვილი 1964:** ლევან ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი. თბ., 1964.
- ჭილაშვილი 2004:** ლევან ჭილაშვილი, ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები. თბ., 2004.
- ჯაბუა 2009:** ნათელა ჯაბუა, სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი საქართველოში. თბ., 2009.
- ჯაფარიძე 1956:** ვახტანგ ჯაფარიძე, ქართული კერამიკა (XI-XIII სს), თბ., 1956.
- კომენ 1984:** Комеч Алексей, Архитектура Византии, Культура Византии. Москва, 1984.
- კონდაკოვ 1904:** Никодим Кондаков, Археологическое путешествие по Сирии и Палестине. Санкт-Петербург, 1904.
- ჩუბინაშვილი 1959:** Георгий Чубинашвили, Архитектура Кахетии. Тбилиси, 1959.
- ჩუბინაშვილი 1970:** Георгий Чубинашвили, «К вопросу о начальных формах Христианского Храма», Вопросы истории искусства. Тбилиси, 1970.
- ბეიერ 1925:** *Herman Beyer, Der Syrische Kirchenbau. Berlin, 1925.*
- კოხ 1995:** Guntram Koch, Frühchristliche Kunst. Stuttgart, 1995.
- ჩალენკო 1953:** GGeorges Tchalenko, Villages antiques de la Sirie du nord, 3 vols. Paris, 1953.
- რავენა 2010:** <http://www.icitc.org>. Online Bible Training 2010: Early Christian Architecture: Ravenna, Siria and East. Atlantis International.

## ილუსტრაციები

სურათი 1 – დოლოჭოპის ბაზილიკის მიდამოების სიტუაციური გენგეგმა.

სურათი 2 – დოლოჭოპის ბაზილიკა გათხრების დაწყებამდე.

სურათი 3 – დოლოჭოპის ბაზილიკის ინტერიერი აღმოსავლეთი-საკენ 2012 წლის გათხრების დასასრულისთვის.

სურათი 4 – დოლოჭოპის ბაზილიკის განათხარი ფართის გეგმა.

სურათი 4-1 – დოლოჭოპის ბაზილიკის განათხარი ფართის გრძივი ჭრილები, ხედიით სამხრეთისკენ და ჩრდილოეთისკენ.

სურათი 4-2 – დოლოჭოპის ბაზილიკის განათხარი ფართის განივი ჭრილი, ხედიით აღმოსავლეთისკენ.



სურათი 5 – სამხრეთის ნავი. დამწვარი კრამიტის ფენა იატაკზე, დასავლეთის უკიდურესი სვეტის ნაშთის მახლობლად.

სურათი 6 – დოლოჭოპის ბაზილიკის საკურთხეველი გათხრის შემდეგ. ხედი აღმოსავლეთიდან.

სურათი 7 – სამხრეთის პასტოფორიუმის განათხარი მიდამოები. ხედი აღმოსავლეთით.

სურათი 8 – ცალმხრივ მორკალული შირიმის თალის ფრაგმენტი.

სურათი 9 – ბაზილიკის იატაკზე, კრამიტების და ნახშირის ფენაში აღმოჩენილი ნაჭედი ლურსმნები.

სურათი 10 – ცალმხრივ დაკბილული ანტიფიქსის ფრაგმენტები.

სურათი 11 – იატაკის მიდამოებში აღმოჩენილი დოქების ყელ-ტუჩების ფრაგმენტები.

სურათი 12 – იატაკის მიდამოებში აღმოჩენილი დოქების ყელ-პირების ფრაგმენტები.

სურათი 13 – დოლოჭოპის ბაზილიკის რეკონსტრუირებული გეგმა.

სურათი 14 – დოლოჭოპის ბაზილიკის აქსონომეტრიული რეკონსტრუქცია (ინტერიერის საჩვენებელიჭრილით).

სურათი 15 – ნეკრესის ნაქალაქარის ჭაბუკაურის ბაზილიკის კომპლექსის განათხარი ფართის გეგმა.

სურათი 15-1 – ნეკრესის ჭაბუკაურის ბაზილიკის ხედი დასავლეთიდან.

სურათი 16 – დოლოჭოპის ბაზილიკის ფუნქციონირების მე-2 ფაზა: ნაწილობრივი აღდგენა განვითარებულ შუა საუკუნეებში. გეგმა.

სურათი 17, 18 – დოლოჭოპის ბაზილიკის ხელმეორედ გამოყენების დროინდელი იატაკის მიდამოებში აღმოჩენილი კერამიკული ნაკეთობების ფრაგმენტები.

სურათი 19 – დოლოჭოპის ბაზილიკის ნანგრევებზე განვითარებულ შუა საუკუნეებში მოწყობილი სამაროვანი.

სურათი 20, 21 – დოლოჭოპის ბაზილიკის ნანგრევებზე განვითარებულ შუა საუკუნეებში ჩაშვებული სამარხები პრეპარაციის შემდეგ.

სურათი 22, 23 – დოლოჭოპის ბაზილიკა. განვითარებული შუა საუკუნეების სამარხების ინვენტარი (სამკაული).




სურ.1




სურ.2




სურ.3



სურ.4



სურ.4.1



სურ.4.2



სურ.5



სურ.6



სურ.7



სურ.8



სურ.9



სურ.10




სურ.11




სურ.12






სურ.13




სურ.14



სურ.15



სურ.15.1



სურ.16



სურ.17

სურ.18



სურ.19



სურ.20



სურ.21



სურ.22



სურ.23

## **Information**

**Nodar Bakhtadze**

### **Results of Archeological Research on the Dolochopi Basilica in 2012**

This article deals with the Dolochopi Basilica (near the town of Kvareli in Georgia) discovered in 2004. A preliminary archaeological investigation of the ruins enables us to date the basilica to the turn of the sixth century and to revisit issues concerning the architectural construction of the first Christian churches in Georgia.